ცენზურა და ლიბერალური ტრადიცია:

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემის განხილვა კლასიკური და თანამედროვე ლიბერალური ტრადიციის გადმოსახედიდან

ნინო აბესაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია აჩვენოს თუ როგორ ვითარდებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დებატები ლიბერალური ტრადიციის ერთი გავლიანი ხაზის მიხედვით - ჯონ სტუარტ მილის კლასიკური წიგნიდან - „თავისუფლების შესახებ“ (On Liberty, 1859) რონალდ დვორკინის (Ronald Dworkin) ნაშრომებამდე (განსაკუთრებით, ნაშრომები, რომელსაც დვორკინი 1984 წლის შემდეგ აქვეყნებს). ვფიქრობ, ის სადისკუსიო სივრცე, რომელიც ამ პერიოდში ყალიბდება, დიდწილად განსაზღვრავს მსგავსი სახის თანამედროვე დებატებსაც.

ნაშრომის თეზისი, მოკლედ, შემდეგი იქნება: ლიბერალური ტრადიცია, ზემოთ აღნიშნული საუკუნენახევრის განმავლობაში, არ იყო სტატიკური თეორია. თუმცა, ის ცვლილებები, რომელიც თეორიამ ამ პერიოდის განმავლობაში განიცადა, არ იყო ისეთი ფუნდამენტური და მომავალში, სავარაუდოდ, უფრო მკაფიო და დიდ განსხვავებებს უნდა ველოდოთ. ამის მიზეზი ის თანამედროვე პრობლემებია, რომელთან გამკლავებაც, ჩემი აზრით, მილი-დვორკინის ხაზს მნიშვნელოვანი რეფორმულირების გარეშე არ შეუძლია.

ნაშრომი სამ ზოგად სექციად იქნება გამოყოფილი:

პირველი ნაწილი დაეთმობა პრობლემის თეორიულ განხილვას, სადაც ნაჩვენები იქნება თუ როგორ ვითარდებოდა დებატები XIX საუკუნის ინგლისის ლიბერალურ ტრადიციასა და ცენზურას შორის. ცენტრალური ადგილი დაეთმობა, მილის გავლენიან ნაშრომს, „თავისუფლების შესახებ“.

ნაშრომის მეორე ნაწილში ვანახებ თუ როგორ მოხდა ამ დებატების აღქმა 1970-ანი წლების ბრიტანეთისა და ამერიკის საჯარო პოლიტიკაზე. სადაც, მოკლედ განვიხილავ 1977 წლის ბრიტანეთში დადგენილი კომისიის მუშაობას, რომელსაც ევალებოდა ე.წ. „უხამს მატერიალთან“ დაკავშრებული იურიდიული კანონების მიმოხილვა და მათი შეფასება (როგორც იურიდიული ასევე ნორმატიული აზრით).

ნაშრომის მესამე, დასკვნით ნაწილში, შევეცდები ვანახო ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც მილი-დვორკინის ხაზი აწყდება. ასევე, მოკლედ მიმოვიხილავ, თუ რა რესურსი გააჩნია ლიბერალურ ტრადიციას მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად.